



აოველკვირეული გაზითი.

卷之三

No 18

ପ୍ରକାଶ, 28 ଅକ୍ଟୋବର 1902 ମେଲିକା.

X 6.

Nº 18

შინარეთი : შეცნაერები, დამარტი X-სა .—საუბარი სხვა-და-  
სხვა საგნებზე, მოსაუბრისა .—თბილისის ქალაქ, არხევწები, ფ. გ. ა.  
ს. —სხვა-და-სხვა ამჟამი .—ჭრეს სტონდენციუბი .—ქუთაისის საყრდილ-  
ერთო ნდობის კრიბა, Porole-სი .— ღექვი, ადა ნეგრისა .—  
ზაზუბრისა მათ. გრძელისა,—ბიბლიოგრაფია ა. სახანშევიდასა .—  
შურნალ-გაზ-დან .—საზღვა-გარეთ .—რუს., ცხ. თავის . ნების თუ  
აუც. ი. გომართედი-სა .—ცოტა რამ საკ. სამჭ.-ბიბლიოთ. შესახებ,  
კონახისა .—წერ. რედ. მიმ .—განცხადები.


з е с б 0 0 6 0 .

## 2. ലാലാര്ജു.

Ցց-XIX საუკუნის დასაწყისში გამეფებული იყო ისეთ  
ցაնქბრივა მიმღინარეობა, რომელიც მეტათ ხელის შემსლე-  
ლათ უნდა ჩაეთვალოთ ბუნებისმეტყველებისათვის. ეს მიმა-  
რთულება არის ნატურ-ფილოსოფია. ძირითადი აზრი ნატურ-  
ფილოსოფიისა ის იყო, რომ ბუნება  
არის მხოლოთ ხილული სახი შემო-  
ქმედებითი ძალის აზროვნებისა. შე-  
მოქმედებითი სული და ადამიანით  
ნაბარი არიან. განსხვავება მათში  
მხოლოთ ისაა, რომ შემოქმედებითი  
ძალა ფიქრობს და ეს მისი აზროვ-  
ნება ხორციელდება, ადამიანის აზრი  
კი ვერ პოულობს განხორციელებას:  
და რა კი შემოქმედებითი სულის და  
ადამიანის აზროვნების პროცესი თა-  
ნაბარია, აქიდან ცხადია, რომ ადა-  
მიანს რაღათ უნდა შრომა? მისთვის  
საკმარისია დაჯდეს და იფიქროს და  
ამ გზით ის აღადგენს თავის გონე-  
ბაში იმ აზროვნებას, რომელიც გან-  
ხორციელებულია ბუნებაში, ესე იყი  
შეიგნებს ბუნებას დაკვირვებათა და  
ცდის გარეშე. ამ ნაირათ ნატურ-  
ფილოსოფია გვასწავლიდა, —არაა სა-  
ჭარო დაკვირვება და ცდაო. აი,  
მაგ., რას ამბობს ამ მიმართულების  
ერთი წარმომადგენელთაგანი, ოკენი: „მე ყოველთვის უარ  
ვყოფლი ლოლიკურ მეთოდს უკავებენ მეორე, ნატურ-ფი

ლოსოფიური მეთოდი, რომ ამ ნაირათ გამოვირკვიო ღვთაებრივა სახე მის ქმნილებათა შორის. ასე, მაგ., ორგანიზმის პლანეტის გამოსახულება, ამიტომ ის უნდა იყოს რგვალი. ეს მეთოდი დასკვენების მეთოდი კი არაა, არამედ ბძანებლობითი მეთოდი, სადაც დასკვნას ისე მიიღებ, რომ თვითონაც არ იყო, თუ როგორ მოხდა ეს“. სწორეთ თვითნებური, აულაგმელი ოცნებობით არის გავსილი ნატურ-ფილოსოფების ნაწერები. კიდევ ერთი მაგალითი: ვინმე კაუპი ამბობს: ხვით ქისგან წარმოიშვა კვერნაო. ხოლო ეს გადაქმნა ხდებოდა თანდათან. ჯერ ხვითქი გადაიქცა იხვათ, მერე ზღვის მერცხლათ, შემდეგ ჭილყვავათ, ტოროლათ, მაბზაკუნათ, დაქოთ, ქორათ, ბუთ და ბოლოს კვერნათ. რატომ მოხდა ასე? ამის პასუხისმომავლის კი თავსაც არ იტკრებდენ. ასე რომ ნატურ-ფილოსოფების მარალაც სავსებით რომ შეესრულებიათ თვითი აზრი და ცდა დაკვირვება უარესყოთ, ვინ იცის, რა მოელოდა მეცნიერებას? მარა ასე არ მოხდა. მიუხედავათ საზოგადო შეხედულებისა, ამ მოძღვრების წარმომადგენლები მაინც აგროვებდენ ფაქტებს თანდათან, ახდენდენ ცდებს და დაკვირვებებს და ამნაირათ უმზადებდენ ნიადაგს ნამდვილ მეცნიერულ თეორიებს. მაინც ნატურ-ფილოსოფია მეტათ განვითარებული იყო გერმანიაში. ხოლო საფრანგეთის მეცნიერთ გასული საუკუნის

յան Համար 30.



მცირების უტესება და სინა აურა. კიუვე დაშანება — იმ  
გარემოებით, რაზე გერმანიაში სუხების ნამდვილ შესწავლას  
ზიზღით უყურებდენ, მიეცა მეორე უკილურესობას. ის ამბო-  
ბდა — ფაქტი და მეტი არაფერიო. სენტ-ილერმა კი გამოთქვა  
ლრმა მოსაზრებანი ორგანიული ბუნების წარსულზე. სწორეთ  
ამ ბრძოლის დროს, როცა აურაცხელი ფაქტებით შეიარაღებუ-  
ლი კიუვიე ამარცხებდა უფრო შორს გამჭვრეტ, მარა ფაქტე-  
ბით ღარიბ ქოფრია სენტ-ილერს, — გამოჩდა იმავე საფრანგე-  
თში ლრმა მეცნიერი, რომელმაც დააფუძნა თანამედროვე შე-  
ხედულება ორგანიულ ბუნებაზე. ეს მეცნიერი იყო ლამარკი.

ეან ბაპტისტ პიერ დე-მონე, შევალიე-დე-ლამარკი, იყო მეტათ მხედვები და მამაცი, როგორც ფიზიკურათ, ისე ზეობრივა-თაც. მასხურებდა სამხედრო სამსახურში, სადაც ერთხელ საოცარი სიმამაცე გამოიჩინა. მარა მისდა სამწუხაროთ, ხოლო შეცნიერების საბედნიეროთ ის ამ ღროს მძიმეთ დაჭრეს, რის გამო დაანება სამსახურს თავი და მიყო ხელი მეცნიერებას. თავდაპირველათ ის გაიტაცა სამხრეთ საფრანგეთის მდიდარმა მცენარეულობამ და ამ ნაირათ ბოტანიკას მიყო ხელი. შემდეგ ჩამოვიდა პარიზში, დაუმევობრდა მაშინდელ გმოჩენილ ბუნებისმეტყველ ბიუფონს. ოცდა ცხრა წლისამ, როცა საფრანგეთს მართავდა დირექტორია, მიიღო თეოლოგიის კათედრა Jardins des Plantes-ში. ლამარკს უნდა შეესწავლა განსაკუთრებით უხერხემლობი, ხოლო სენტ-ილერს ხერხემლიანები. ლამარკმა გულმოდგინეთ მოკიდა საქმეს ხელი, მოკლე დროს განმავლობაში საფუძვლიანათ შეისწავლა საგანი და ბევრი დიდმნიშვნელოვანი დაკვირვება მოახდინა. მარა მუდმივმა შრომამ და მიკროსკოპიულ ორგანიზმების შესწავლამ ერთობერით, ხოლო სიღარიბემ მხრით ის მოიტანა. რომ ლამარკს თანდათან მხედველობა დაუსუსტდა და ბოლოს 1819 წ. სრულიათ დაბრმავდა. თავის თხულების „უხერხემლოთა ბუნებრივი ისტორი“-ის ორი უკანასკნელი ტომი (ეს თხულება მან დაიწყო 1816 წ., ხოლო დაასრულა 1822 წ.). ბრმა მოხუცმა უკარნახა თავის ქალს, რომელსაც მამა უყვარდა და უღრმესი შვილობრივი სიყვარულით. ბიოგრაფები ამბობენ მას შემდეგ, რაც სასტიკმა ბუნებამ ლამარკი ჩამწყვდია ოთხედელ შუა, მისი ქალიშვილიც იღარ მოშორებია ტანჯულ მამას.

ରାଶି ଗାମ୍ବିନ୍ଦାଟ୍ରେଙ୍ଡା ଲାମାର୍କ୍ୟିସ ଲ୍ଵାଣ୍ଡଲି? ସାନାଥ ଅମାଶ ଗାମ୍ବି  
ତ୍ରୋଲିନ୍ସିଥିନ୍ଦ୍ରଭଦ୍ରେତ, ସାଫିରିଂ ଗାମ୍ବିନ୍ଦାର୍କ୍ୱାଇନ୍ଟ ତ୍ରୈତ କ୍ଷୁଲ୍ଲଜ୍ୟିସ ସା-  
ନାନ୍.

მთელი ბუნება ორ ნაწილათ იყოფა, ერთი ნაწილია ორ-  
განიული, მეორე—უორგანო. ორგანიზმს ანუ ორგანიულ არ-  
სებას ჩვენ ვეძახით სულ ყველა ცოცხალ არსებათ, როგორც  
ცხოველებს, ისე მცენარეთ, რაღაც სულ ყველა ისინი შემ-  
დგარი არიან განსაკუთრებულ ნაწილებისაგან და ყველა ან  
ნაწილებს მიჩენილი აქვთ თავისი განსაკუთრებული საქმე. ერ-  
თი სუნთქვეს, მეორე საჭმელს ინელებს, მესამე ორგანიზმს  
ამონრავებს და სხვა. აი ყველა ამ განსაკუთრებულ ნაწილებს  
ქვია ორგანო და ოვით ცოცხალ არსებასაც ორგანიული. ორ-  
განოების შეერთებული მოქმედება გამოიწვევს სულ ყველა  
ცხოველურ მოქმედებას. ამას ვერ ვამჩნევთ ჩვენ ეგრეთ წო-  
დებულ მყვდარ სხეულებში, ამიტომაც მათ ვეძახით უსიცო-  
ცხლოს, ანუ უორგანოს. ამის მიხედვით მთელი ბუნებისმე-  
ტიკელება გაყოფილია ორ ნაწილათ: ერთ ნაწილს შეადგენს  
სწავლა ორგანიზმებზე, ანუ ბიოლოგია, მეორეს—სწავლა უო-  
რგანო სხეულებზე, რომელსაც შეადგენენ მინერალოგია, გე-  
ოლოგია, მეტეოროლოგია და სხვა.

უორგანო ბუნების მოვლენათა ახსნაში სულ ყველა ერთ  
პრინციპს, ერთ გზას ოდგია. სულ ყველა იმ აზრისაა, რომ აქ  
მოქმედებენ ბუნებრივი ძალები, რომ მიზტი და შედეგი აქ

ორივე ბუნებრივია. ერთი სიტყვით, აქ სავსებით გამეფებულია მექანიური ახსნა, მექანიური შეხედულება.

სულ სხვაა ორგანიული ბუნების ახსნა. აქ ბევრი სხვა-და-  
სხვა ნაირი შეხედულებაა, მარა ყველა ეს მიმართ ულებანი  
შეგვიძლია ორ დიდ ჯგუფათ გაყორთ. ერთი მიმართულება  
სულ ყველა ბუნებრივ მოვლენათ ხსნის ბუნებრივი კანონების  
შემწეობით, ხოლო მეორე არაბუნებრივ ძალების ჩარევით. პი-  
რველი შეხედულება არის მექანიური, ხოლო მეორე დუალი-  
სტური, რაღაც ის ორათაა გაყოფილი: უორგანო ბუნების  
მოვლენებს ხსნის ბუნებრივი კანონების მიხედვით, ხოლო რა-  
განიულ ბუნების მოვლენების ახსნაში ცდილობს არა ბუნე-  
ბრივი ძალები გამოიყენოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ  
ვამჩნევთ ორ მიმღინარეობას; ერთია — ტელეოლოგიური, მე-  
ორე ვიტალისტური. ტელეოლოგიური შეხედულება ამტკი-  
ცებს, ყოველი ორგანიზმი წინდაწინვე განსაზღვრული  
მიზნითაა შექნილით, ხოლო ვიტალისტური შეხედულება ცო-  
ცხალ არსების მოქმედებაში ხელავს რაღაც მალულ ძალას,  
რომელსაც უწოდა „სიცოცხლის“ ძალა. ორივე ამ მიმართუ-  
ლებაში დიდი განსხვავება არაა. ორივე ისინი წარმოადგენე-  
დუალისტურ მიმართულებას. თუ ჩვენ ამ მიმართულებას გავ-  
ყევით, მაშინ საბოლოოთ უნდა ავიღოთ ხელი ორგანიულ მო-  
ვლენათა ახსნაზე, მისი კანონების ღმოჩენაზე, რაღაც სადაც  
ბუნებრივობა არაა, იქ კანონიერებასაც ვეღარ წარმოვიდგენ. ამიტომ ამ მიმართულებაზე შეჩერება ღრმა მეცნიერთ არაფერ  
შემთხვევაში არ შეუძლიათ. მათი მუდმივი ცდა — გააუაროთ-  
ეონ კაცობრიობის გონებრივი ასპარეზი და დაუმორჩილონ კა-  
ნონიერებას ყოველი მოვლენა, როგორც უორგანო, ისე ორ-  
განიული ბუნების.

გასულ სალკუნემდე ეს ძნელი შესასრულებელი იყო.

მეცნიერებაში ფაკტიური სიღარიბის გამო ბევრი შეუსაბამო აზრები ტრიალებდა. ხოლო რამდენათ ფაკტიურათ მდიდრდებოდა ის, იმდენათ ფაქტებსა და მათ თეორიულ ასენათ შორის მანძილი მოკლდებოდა, სანამ ის მანძილი სრულიათ არ მოისცო და ფაქტი და ოცნების სულ არ გაერთიანდა. მე-XVIII საუკუნეში დიდებულმა ლინეიმ შექნა ცხოველთა და მცენარეთა კლასიფიკაცია. დააღავა ცხოველები და მცენარები მოდგმებათ. ამ შრომაშ ბუნებისძეტყველთ ძალიან გაუადვილათ საქმე. მაშინ უფრო მცაფიოთ დაისვა კითხვა: რა კავშირია მოდგმებთა შორის? რა აერთებთ ჩათ? ამ ეს კითხვა გაარკვია გენიოსური სიმახვილით ლამარკმა თავის წიგნში: „ზოოლოგიის ფილოსოფია“-ში, რომელიც გამოიცა 1809 წ. მოვიყენოთ მისი ოხელულებიდან უმთავრესი აზრები: „ცხოველთა და მცენარეთა სისტემატიურათ დაყრავა კლასებათ, რაზებათ, ოჯახებათ, გვარეულობათ და მოდგმებათ, აგრეთვე მათი სახელწოდებაც მხოლოდ აღამიანის შეუსაბამო გამოგონებაა. ორგანიზმებთა სხვა და სხვა ხნოვანობის მოდგმები განვითარდენ ერთი მეორეს შემდეგ და მათი შეუცვლელათ არსებობა მხოლოდ ღროვებითია, მოდგმის შტოებისავან ვითარდებიან მოდგმანი. საარსებო პირობების სხვადასხვაობა მოქმედებს ორგანიზმებს და ცვლის მის ორგანიზაციას, საერთო მოყვანილობას და ცალკე ნაწილებს; ამნაირათვე მოქმედობს ორგანოების ვარჯიშობა ან არ ვარჯიშობა. თავ დაპირველათ გაჩნდენ მხოლოდ მეტათ საღა ფორმის ცხოველები და მცენარეები და მხოლოდ შემდეგ მათ შეიძინეს მეტათ როული ორგანიზაცია. დედამიწის განვითარება თანაბრათ მიდიოდა მის ორგანიულ მცხოვრებთან ერთათ და არავითარ ნაძალადევ რეეოლუციას არ შეუცვლია ის. სიცოცხლე მხოლოდ ფიზიკური მოვლენაა. სულ ყველა სიცოცხლის მოვლენები დაფუძნებულია მექანიური, ფიზიკურ და ქიმიურ მიზეზებზე. სულ ყველა ცოცხალი არ არის, ანუ ორგანიზმები, ემორჩი

ლებიან ბუნების იმავე კანონებს, რა კანონებს ემორჩილებიან უორგანო სხეულები; აზრები და განებრივი მოქმედება არის ნერვების ცენტრალური სისტემის მოძრაობა. გონიერება არის მხოლოთ შველობის განვითარების უმაღლესი ხარისხი”.

როგორც ხედავთ, ლამარქმა ამ სიტყვებში დახატა მოელი მექანიური სისტემა. აქ წამოყენებულია სულ ყველა ძარითადი პრინციპები თანამედროვე ბიოლოგიისა: უორგანო და ორგანიულ ბუნებაში მოქმედ მაზეზების ერთგვარობა, ამ შინების უკანასკნელი წყარო მატერიის ქიმიური და ფიზიკური თვისებები, ყველა ორგანიზმების წარმოშობა რამდენიმე მეტათ სადა ძირითად ფორმებისაგან, ანუ დამწყე არსებათაგან; დედამიშის განვითარების შეუწყვეტელი მსვლელობა, რომელსაც არ წყვეტს არავითარი რევოლუციონური ძალა და საზოგადო შეუძლებლობა რამე სასწავლისა, საპყაროს განვითარებაში რამე სასწავლებრივი ჩარევისა.

ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ აქ სრულ ევოლუციონურ თეორიას. ლამარქმა სავსებით დაგვიხატა ქვეყნიერების განვითარების სურათი და ამ განვითარებას დაუმორჩილა თავთ ორგანიული ბუნებაც, რადგან მან იცნო მოდგმათა კალებადობა.

ამით იმან დაასრულა ბუნების მეცნიერულ ახსნის ერთი შხარე, დაამკვიდრა განვითარების პრინციპი, რომელიც სამუდამოთ დაედვა სარჩულათ მეცნიერულ განვითარებას. დაგვრჩა მეორე შხარე: ახსნა იმისა, თუ როგორ მოხდა ეს განვითარება, რა კანონების ძალით იცვლებიან ორგანიზმების მოდგმები? აი აქ ლამარქმა წამოაყენა საკუთარი თეორია, რომელსაც დაკრიკვა ლამარკიზმი და რომელიც ბევრათ განსხვავდება დარვინიზმისაგან, მარა ამის შესახებ შემდეგ. უახლოეს მექანიურ მიხეხათ ორგანიული ფორმების მუდმივი ცვლისა ლამარქს მიაჩინა შეგუება. ხოლო სხვა და სხვა მოდგმათა, გვარეულობათა და ოჯახთა ურთიერთი მშგავსებას, აწერს მათ ნათესაობას, ესე იგი მეკვიდრეობას. შეგუება, ლამარქის აზრით, იმაში გამოიხატება, რომ გარეშე ბუნების მუდმივი და ნელი ცვლა გამოიწვევს ორგანიზმების ფორმების და მოქმედების შესაფრა ცვლას. ამ ცვალებადობაში მისი აზრით უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვეულების მოქმედებას, ორგანოების ხმარებას ან არ ხმარებას. ასე, მაგ., ის ამბობს, რომ უირავს კისერი იმიტომ დაუგრძელდა, რომ მუდმივი იშვერდა. მაღალ ხებიდან ფოთლების ჩამოსაწყვეტათ. უირავები უშეტესათ ცხოვრობენ შშალ ადგილებში, სადაც საქმიოთ გამოკვება შეუძლიათ მხოლოთ ხის ფოთლით, ამიტომ კისრის ხშირ-ხშირი გაჭიმვა მათვის აუცილებლათ საჭიროა. ამგარათვე კოდალის ენა იმიტომ დაუგრძელდა, რომ ის იძულებულია გამოათხიოს თავისი საკბილო ვიწრო და ღრმა ნახვრეტებისაგან. საცურავი აპკი ფეხებზე მცურავ ცხოველებს, როგორც მაგ., ბაყაყებს, გაუჩნდა იმიტომ, რომ ისინი მუდმივ ცურაობას ცდილობენ. ეს ჩვეულებანი მემკვიდრეობითი კანონის ძალით გადაეცემა ჩთამომავლობას და ამ სახით შემდეგი თანდათანი განვითარება იწვევს ახალი ორგანოს გაჩენას. ვარჯიშობას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარების პრიოცესში, ეს უცველია. მარა ლამარქმა მას მიიწერა უაღრესი მნიშვნელობა და ამით ჩივარდა შეცდომაში. ეს შეცდომა შემდეგში შესწორა დარვინა, რომელმაც წამოაყენა პრინციპი „ბრძოლისათვის ასებობის დროს ბუნებრივი შერჩევისა“.

მეტათ დიდ ლვაწლათ უნდა ჩაეთვალის ლამარქს მისი ცდა იმის დასამტკიცებლათ, რომ ადამიანის გვარი განვითარდა დაზიალი მაიმუნის მაგარ ძუძუმწოვართაგან. აქაც მას თავ და თავ მიზეზათ მიჩნეული აქვს შეჩვევა. ის ამბობდა: პირველი ადამიანები განვითარდენ დადამიანის მაგვარ მაიმუნებისაგან და ეს მოხდა იმატომ, როგორც ამ უკანასკნელთ ჩვეულებათ

აქვთ პირდაპირ, უკანა ფეხებზე, სიარტლი. ტანის პირდაპირ დაყენებამ, პირდაპირ დადგომის მულტი სურვილმა გამოიწყია სამოძრაო ორგანოების რეზისორი განვითარება, დიფერენციალურია. უკანა ფეხებზე განვითარდა კუთები და პრტყელი ტერტი, წინაზე კი მოსახვევი ურგანო, ხელები იმათი მტკვებით. ამართულათ სიარულის გამა გაფართოვდა მხედველობის არე, შესაძლო შეიქნა უფრო მეტ სივრცის თვალიერება, რამაც მეტათ შეუწყო ხელი გონებრივ განვითარებას. ამისთანა აღამიანისებურ მაიმუნებმა ჩქარა მოიპოვეს დაღი უპირატესობა დანარჩენ ლრგანიზმები. რომ უფრო დაეჭვიდორებით თავისი ბატბიონობა მათხე, ისინი შეერთდენ საზოგადოებათ, რამაც გამოიწვია აზრებთა და მისწრაფებათ ერთმანეთისათვის გაზიარების სურვილი. ამაირათ გაჩნდა ენის საჭაროება. ენა, პირველათ სადა დაუყოფელ ხმებისაგან შემდგარი, თანდათან დანაწილდა და გაროულდა. ენის განვითარებამ თავის მხრით გამოიწვია ლრგანიზმის ძლიერი განვითარება და ყველაზე უფრო შეეხო ტვინის განვითარებას. ამ ნაირათ აღამიანმაგვარ მაიმუნები თანდათან იქცენ ნამდვილ აღამიანებათ.

ამ ნაირათ ჩვენ დავინახეთ, რამაც ლამარქი არის ერთი დიდებული ბუნებისეტყველთაგანი, რომელმაც ხელი შეუწყო ევოლუციონური თეორიის დამკეიდრებას. X.

#### საუბარი სისვა-და-სისა საგნებზე.

#### IV.

თრი ნიმუში ჩვენი შებმულისტიკიდან.

არის ორგანო სენი, რომელიც ასუსტებს და სულს უხუთავს ჩვენ დღევანდელ უურნალ-გაზეთობას და ხელს უშლის მის წარმატებას. ჩენ ყოველთვის ვაქცევდით მკითხველის უურიადებას ამ საწუხარო გარემოებაზე, და ი დღესაც, ჩვენი ხანგძლივი სიჩუმის შემდეგ, ამავე გარემოების აღნიშვნით უნდა დავიდებოთ ჩვენი ჩვეულებრივი საუბარი მკითხველთან. მაგრამ მკითხველმა წინდაწინვე უნდა იცოდეს, რომ ჩვენ აქ ლაპარაკი გვექნება მხალოთ ერთ ამ სენთაგანზე, რომელიც ჩვენთან უფრო ახლოა.

არიან ერთნაირი ჯურის ადამიანები, რომლებსაც, რაზე-დაც გნებავთ, დაუსრულებლათ შეუძლიათ ლაპარაკი, მაგრამ რომლებიც თავისი დაუბოლოვებელი ენამკევრობითარც სულს და არც გულს სრულებით არაერქს არ ეუბნებიან. ცუდია ასეთი ადამიანი კერძო საუბარშიაც, მით უმეტეს ცუდია, როცა იგი პუბლიცისტობას ჩემობს, როცა იგი ბეჭდებითი სიტყვის საშუალებით მრავალ მკითხველთ უმრავლესობა გაშტრებული რჩება ავტორის ფუჭე მრავალისტყვაობით. სრულიათ არ წუხს ასეთი პუბლიცისტი, თუ მას ნათესავიდან მკითხველი ვერაფერს ვერ გამოიტანს, ვერავითარ საზრდოს თავის გონებას ვერ შეძენს? თავის ენა-ჭარბობით ყურადღება ხომ მიიქცა და მისთვის მბოლოთ ესაა საკირო. მხოლოთ მკითხველთა მეორე ნაწილს ესმის, რომ ენაჭარბ პუბლიცისტს არა უთქვამს რა, რომ მისი მრავალისტყვაობა მხოლოთ მისი სრული უაზრობის და ქარაფშუტობის ნიშანია და მეტი არაფერი. ასეთ ენაჭარბ პუბლიცისტთა რიცხვს საესტი უნდა მიიღეთნოთ ბ. კალამი, რომელმაც ამას წინეთ ერთი პატარა სკუპი გააკეთა: „ივერიიდან“ „ცნობის ფურცელში“, რაც ჩვენ წინდაწინ ვიცოდით, რომ მოხდებოდა. ბ. კალამი, როგორც პუბლიცისტი, ჩვენ უკვე დაეხსასიათეთ („კვალი“ № 7); მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ მაშინ უკეთესი აზრის ვიყავით მაზე. მართალია მას შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც მაც მან საკმარისათ გვივის ჩვენი იმის ნიშნები, რამაც მისი უმარტინი განვითარება არა უნდა მიიღეთნოთ ბ. კალამი, რომელმაც ამას წინეთ ერთი პატარა სკუპი გააკეთა: „ცნობის ფურცელში“, რაც ჩვენ წინდაწინ ვიცოდით, რომ მოხდებოდა. ბ. კალამი, როგორც პუბლიცისტი, ჩვენ უკვე დაეხსასიათეთ („კვალი“ № 7); მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ მაშინ უკეთესი აზრის ვიყავით მაზე. მართალია მას შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც მაც მან საკმარისათ გვივის ჩვენი იმის ნიშნები, რამაც მისი უმარტინი განვითარება არა უნდა მიიღეთნოთ ბ. კალამი, რომელმაც ამას წინ

არამედ უფრო უკან იწევს. მაგრამ განვიხილოთ მისი სამწერლო  
მოღვაწეობა უფრო დაწვრილებით.

ამ ცოტა ხანში თფილისში უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოს არჩევნები, და სწორეთ ეს საგანია, რომელსაც უტრიალებენ ადგილობრივი გაზეთები სხვა-და-სხვა მხრიდან, მაგრამ სამწუხაროთ, არც ერთი იმათგანი არ შეხება მას არსებითათ, არ გაუთვალისწინებია საზოგადოებისათვის. არც დღევანდელი ქალაქის საბჭოს როლი და მისი დანიშნულება საზოგადოთ და კერძოთ არც თფილისის საბჭოს მნიშვნელობა. მოგეხსენებათ, რომ თფილისი წარმოადგენს ისეთ ქალაქს, სადაც ცხოვრისენ სხვა-და-სხვა ეროვნებანი და ტომნი, როგორც სომხები, ქართველები, რუსები, სპარსელები, გერმანელები და სხვ., მაგრამ უმთავრესათ კი სომხები, ქართველები და რუსები. ამის გამო ქალაქის არჩევნები თფილისში მეტისმეტა გართულებულია. ეროვნება ეს ერთგვარი ჩაღრია, რომელიც უშლის ამომრჩეველს იმის ვინაობის განჭვრეტის და დანახვას, ვისაც იგი იჩევს. სადაც ეროვნებისა და ტომის მიხედვით, ამორჩევლებში განსხვავება არ არის, ან არის, მაგრამ არა ისე საგრძნობელი, როგორც თფილისში, იქ ეს ეროვნული ჩაღრია ანუ პირბადე არ არსებობს, და ამიტომ ამომრჩეველი აშკარაო ხედავს, ვისთან აქვს საქმე, ე. ი. ვის მიცეს თეთრი და ვის—შავი. ვისაც სამართლიანობის და ჭეშმარიტების გამარჯვება სწადია, აშკარაა, რომ იგი ამ პირბადის ახდას ეცდება; იგი ეცდება, რომ ამ პირბადემ არ დაუშალოს ამომრჩეველებს, რათა ნამდვილი მათი ინტერესების დამცველი იქნას არჩეული. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ამომრჩეველთ აუქსნიან და დაარწმუნებენ იმაში, რომ ისინი გვარ-ტომობის და ეროვნების მიხედვით კი არ უნდა იჩევდენ თავის წარმომდგენელთ, არამედ იმის მიხედვით, თუ რა წმენის, რა შესედუდების, რა მიმართულების არას ეს უკანასკნელნი. პირველყოვლისა ჩვენ იმას უნდა ვხედავდეთ და იმას უნდა ვაფასებდეთ, თუ რა აზრების და რა მიმართულების გამტარებელია ცხოვრებამიერა თუ ის პირი, და არა იმას, სომეხია იგი თუ ქართველი, ან კიდევ რუსი. ამის წინააღმდეგი სრული უგუნურება იქნება. განა შესაძლებელია, რომ ყველა რუსი, გინდ ყველა ქართველი, თუ სომეხი ერთი და იგივე მიმართულების გინდ შეხედულების იყოს? დღევანდელ პირობებში შეხედულება და მიმართულება დამოკიდებულია ნივთიერ პირობებს გარდა იმ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, რომელშიაც საზოგადოების წევრნი იმყოფებიან. ეს პირობები და მდგომარეობა არც ყველა სომხისთვის არის ერთნაირი და არც ყველა ქართველისთვის. ასეთ პირობებში განა სრული უგუნურება არ იქნება, რომ ქართველ ამომრჩეველთ ვურჩიოთ: რადგან შენ ქართველი ხარ, უთუოთ ქართველ კანდიტატს უნდა მისცე თეთრი კენჭი, სულ ერთია, რა შეხედულების ანუ მიმართულების იყოს იგი, ე. ი. დაიცავს იგი თუ არა შენ პირდაპირ ინტერესებს. ჩვენდა სამწუხაროთ და დასამურებლათ, სწორეთ ასეთ უგუნურებებს ქადაგებენ „ივერია“-, „ცნობის ფურცლის“ მედროშენი. რაც უნდა გახდეს, ქართველმა ამომრჩევლებმა ქართველი ხმოსნები აირჩიონ, — კატეგორიული მოთხოვნილება, რომელიც შეადგენს პირველ და უკანასკნელ მუხლს იმათ საარჩევნო პროგრამისას. ჩვენ არც ეროვნების წინააღმდეგი ვართ და არც იმისი, რომ ქართველი ხმოსნებიც იქნენ არჩეული თფილისის მომავალ ქალაქის საბჭოში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ როგორც ქართველებში, ისე სომხებში და რუსებში, არ ვხედავდეთ ინტერესთა სრულწრიანობებას, თუ კი ეს ასეა, იმ შემთხვევაში „ივერია“-, „ცნობის ფურცლის“ ჯალათნი ან გონებით არმანი არიან და არ ესმით დღევანდელი სინამდვილე, და ან კანზრას იბრმავებენ თვალს და სხვასაც აბრმავებენ. ქართვე

ლეგბა „ჩვენიანები“, ე. ი. ქართველები ავირჩიოთო, — ამ ა პრინციპი, ის დედააზრი, რომელიც დაუწერია ბ. კალაშის თვის დროშაზე. ხოლო ასეთი პრინციპის წამოყენება რომსრულ უპრინციპობას და უაზრობას ნიშნავს დღეს, ეს ყველასათვე აშკარა უნდა იყოს. ჩვენ არა თუ უარვყოფთ ასეთ „პრინციპს“, არამედ იძულებული ვართ დავგმოთ იგი, ვინაიდა იმის წამოყენება და იმით ხელმძღვანელობა ხელს უშლის საზოგადოებრივ შეგნების საქმეს, ანუ საზოგადოებრივი თვით ცნობიერების ზრდას.

მეორე მხრით ისიც აშკარაა, რომ ჩვენი მედროშენი თონწვე აყენებენ ვნებას იმ საქმეს, რომელსაც ვითომდა ას თავგამოდებით მფარველობას უწევენ. აი საქმე რაშია. თი იმათი რჩევა-დარიგებით, ქართველ ამომრჩევლებშა უთურ ქართველები უნდა აირჩიონ, რათ სომხებიც ასე არ უნდ მოიქცენ. და მაშინ რა გამოვა? გამოვა ის, რომ რადგანაც სომხე ამომრჩევთა რიცხვი გაცილებით მეტია (1663—1446=217 ჟველა დანარჩენ ეროვნებათა ამომრჩეველთა რიცხვზე, სომხები ეცდებიან, რომ არც ერთი ქართველი ხმოსანი არ აირჩიონ თვილისის ქალაქის საბჭოში. მართალია, სომხები-ამომრჩევლები ისე არაან დაყოფილი, რომ მხოლოთ ერთ საარჩევნო რაიონში შავგენენ ღიღ უმრავლესობას, მაგრამ სხვა ტომთა წარმომადგენელთა დახმარებით, იმათ სულ ყოველოვი შეეძლებათ ქართველების წინააღმდეგ უმრავლესობა შეადგინონ. და თუ ეს ასე მოხდა, უნდა ვიცოდეთ, რომ მათი ასეთ ტაქტიკა ბ. კალამის და მის მსგავსთა ეროვნებათა ჩაყლაპვი თეორიაზე იქნება დამყარებული. და აი მოდით და მაშინ ნა მიულოცავთ გამარჯვებას ჩვენ გონება დახშულ პუბლიცისტი უნდა გამოვტყოდეთ, რომ არასოდეს ჩვენი პუბლიცისტიკის და ნინება და დაცემა ისე არ გვიგრძია ჩვენ, როგორც ვიგრძინოთ ეს ბ. კალამის წერილის „რას ამბობენ ციფრები“-ის წევითხევის დროს. ნეტა რის დამტკიცება უნდოდა მის ავტორან მართლა რას ამბობენ მის მიერმოყვანილი ციფრები? ნეტ რისთხვის აცილებით ავტორმა თავის თავი ამ ყოვლათ უაზრი (გარდა ერთი-ორისა) ცხრილების შედეგნისათვის? ერთათ ერთი, რასაც ამტკიცებენ ბ. კალამის-წიერ ნაცოდვილევი ციფრები, ეს ის არის, რომ თვილისში სომხის ბურუუზია ჟველ დანარჩენ ეროვნებათა ბურუუზიაზე გაცილებით მძლავრია მაგრამ ეს ხომ უმისიორაც კარგათ ვიცოდით. თუ მაინცა და მაინც ამის დამტკიცება უნდოდა ავტორს, ამისთვის კიდე სხვა ციფრებიც იყო საჭირო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ავტორს სულ სხვა ქონდა მხედველობაში. სამწუხაროთ „ეს სულ სხვა რამ“ თვით ავტორსაც არ უნდა ქონგბოდეს გამორკვეულ! ეს ჩვეულებრივ ენაზე უაზრობათ იწოდების.

მაგრამ ერთი რათ წაწყდეს, თუ მეორე არ ცხონდეს  
მეორე კი ბ. ვასილ წერეთლი გახლავთ გაზ. „ივერიიდან“  
თუ ერთი უაზრობითაა შემკვბილი, მეორე პირიქსა „აზრიანო-  
ბის“ სიჭარბით არის დასწეულებული. მაგრამ აზრიც არის  
და აზრიც. ზოგი სასარგებლო და ნაყოფერია კაცობრიობი-  
სათვის, ხოლო ზოგი ისეთია, რომ იმას უფრო ბევრათ სრულ  
უაზრობის ვარჩევდით. თქვენ არ ვაგიკვირდებათ, თუ ვიტუვით,  
რომ ბ. ვასილ წერეთლის „აზრიანობა“, ჩვენდა სამწუხაროთ  
ამ უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნის. ამასთან ერთათ ბ. ვ.  
წერეთელს ერთი ავი ზნე კიდევ სჭირს: მას არ ახსოეს თავის-  
თავი, ე. ი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ივიწყებს წინააღმდეგობათ  
ნათქვაშს, და ამიტომ ყველა მისი ნათქვამი წინააღმდეგობათ  
და ნახტომთა ერთ ახირებულ კრებულს შეადგნის. ხენგ-  
ბული ავტორის ყველა ნაწერების განხილვა ძლიერ შორი  
წაგიზუანდა, და ეს არც სჭიროა; ჩვენ გვსურს აქ პკითხველი  
მოვაგონოთ ბ. ვასილ წერეთლის ორი უკანასკნელი წერილი,  
მოთავსებული გაზ. „ივერიის ში“ (№№ 59 და 83).

პარველ წერილში ჩვენი ავტორი ეხება თავად-აზნაურობის დღევანდელ გაქირებულ მდგომარეობას და უკმაყოფილებას აცხადებს, რომ ჩვენმა ლიტერატურაშ ჯეროვანათ ვერ დააფასა ეს გარემოება და ვერ უჩვენა ის ღონისძიება, რომლის საშვალებით ქართველ თავად-აზნაურობას თავიდან აცილებით ეს გაქირებული მდგომარეობაო. ბ. ვ. წერეთელს არ მოსწონს, რომ ჩვენი „პუბლიცისტიკა და ბელეტირისტიკა უშერეს ნაწილათ კიცხავდენ განსაკლელში ჩავარდნილ თავად-აზნაურობას“. მისი აზრით, ქართველი ინტელიგენცია ორ განაკათ გაიყო: ერთი, რომელიც „მეტ სულგრძელობას იჩენს“ და რომელიც „თავად-აზნაურობიდან არის გამოსული“, „კიდევ ითმენს და ეხატრება თავად-აზნაურობის“, ხოლო მეორე მიმართულების ინტელიგენციამ, —განავრმობს ბ. წერეთელი, რულიად უარპყო თავად-აზნაურობის მნიშვნელობა... ზოგიერთ გაფანატიკოსებული ადეპტი ამ მოძღვრებისა იქამდე მივიდა, რომ ამტკიცებს: ჩვენს ერს მანამდის არა ეშველება რა, სანამ ჩვენი თავად-აზნაურობა არ გაქრება სრულიათ და არ აღიგვება დედა-მიწის ზურგიდანაო“. ამის შესახებ ბ. ვ. წერეთელს ჩვენ იმას ვეტყვით მხოლოთ, რომ იმას ერთობ გვიან უკისრია თავად-აზნაურობის მფარველობა... მას შებრალებაც მეტის მეტათ სცოდნია და აი კიდევაც შეუბრალებია ერთი მეტოთ გამოჩენილი მჩაგვრელი უდანაშაულო აღამიანთა, ფათი სიტყვით მას შეუბრალებია ეგნატე ნინოშეილის გმირი ტარიელ მკლავაძე აი მისი სიტყვები: „საწყალი ტარიელ მკლავაძე! მე ვფიქრობ, რომ მკლავაძეს უფრო ჩაგრულთა შორის უძევს წილი. სილარიბე, სისაწყლე, უილაჯობა, სიყრმითვე სდევნიდა ტარიელს (საბრალო!). არა ერთი და ორი გაბურუებული გლეხი მიაყენებდა ამ გმირს მრავალ გვარ შევიწროებას. დედა, ძმები, დები, შეილები, ვინ იცის, ეგებ შიმშილით ეხოებიან. ისიც აღამიანია, იმასაც გული აქვს, იმასაც უყვარს თავის ღვანის წევრი. ვინ იცის, რამდენი მწუხარებაა მის გულში, რამდენი ცრემლია შეგუბებული... თუ ტარიელ მკლავაძეს გული გაქვავებია, გამხეცებია, მხოლოთ ნამეტანი გაქირვებით...“ აი ხომ ხედავთ ახლა, საღამდის მიდის ბ. ვ. წერეთლის სიბრალული. ვინ წარმოიდგინდა, თუ ამ პუბლიცისტის თავში ასეთი ორიგინალური აზრი ტრიალებდა!

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ტარიელ მკლავაძის ასე შებრალებისათვის ბ. ვ. წერეთელს ბევრი მაღლი გადაუხდის, მაგრამ არა გვგონია, რომ შემდეგი მისი მოსახრება რომელიმე თავად-აზნაურს იამოს. ბ. ვ. წერეთელი ქართველ თავად-აზნაურობას ურჩევს, რომ მან თავიდანანებოს მეურნეობას და სხვა საქმე თუ ვერა იშოვა რა, ლაქიობას მოკიდოს ხელი. და წარმოიდგინეთ ამას აბბობს ის, ვინც ცოტა წნის წინეთ ამტკიცებდა, რომ ჩვენი ხსნა მეურნეობაში არისო. მაგრამ აკი გითხარით: ბ. ვ. წერეთელს თავისი თავი ავიწყდება-მეთქი. მკითხველმა არ იფიქროს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა გაურბოდეს ლაქიობას; სრულებითაც არა... იგი ამ გზაზე კაიხანია შემდგარია, მაგრამ ჩვენ გვაოცებს ლაქიობის ნატერა ჩვენი თავად-აზნაურობისთვის ისეთ პირისაგან, რომელიც გაიხახის, რომ ქართველი თავად-აზნაურობა განათლუსებული და მოდიდარი ნაწილია ჩვენი საზოგადოებისა, რომ იგი ბელადია ჩვენი ხალხისო და სხ. საერთო ბ. ვ. წერეთელი ძლიერ მაღლა აყენებს ქართველ თავად-აზნაურობას, ყოველიფერს მას აწერს, ყოველივე მისი მეოხებით მოხდაო და შემდეგშიც ასე იქნებაო. მაგრამ აქ ერთი თვალ საჩინო ნახტომი მოსახლის სახელმოწმინდებისტის. იგი აბბობს: „თუ ჩვენი სოფელი ჩამორჩენილია, მოწყვეტილია ქვეყნიერობას, ამის მიზეზი უმთავრესათ წიგნთ-საცავის უქონდობა: წიგნთ-საცავი აკავშირებს ხალხს ქვეყნიერებასთან, ვიდრე გზები, ვაჭრობა, მრევლობაო“, აბბობს ჩვენი ავტორი—და ვიდრე თავად-აზნა-

ურობა, დავუმატებთ ჩვენ კიდევ. გამოდის, რომ ხალხის წინ მსვლელობის, წარმატების მიზეზი ყოფილა წიგნთ-საცავი, დაარა თავად-აზნაურობა, რასაც იმავე წერილში ამტკიცებდა ჩვენი გულ მავიწყა ავტორი. რაც შეეხება იმას, რომ წიგნთ-საცავი უფრო აკავშირებს ხალხს ქვეყნიერებასთან, ვიდრე გზები, ვაჭრობა და მრევლობა, საიდან უნდა გაჩნდეს წიგნთ-საცავი. საზოგადოთ უნდა შევნიუნით, რომ ბ. ვ. წერეთელს ბევრგვარი აზრი ებადება თავში, მაგრამ ვერც ერთ იმათვანს იგი თავს ვერ ართმევს. მას, მაგ., შეუმჩნევია, რომ „კულტურა და სიმდიდრე ერთმანეთზე დამოკიდებულია: სადაც კულტურაა, იქ სიმდიდრეა, და სადაც სამდიდრეა იქ კულტურაა“. მაგრამ „შეიძლება უფრო მდიდარი ერთ იმათვანს იგი თავს ვერ ართმევს. და მაგალითისთვის გვითითებს ერთი შერით განჯის და ბაქოს გუბერნიების თაორებზე და მეორე მხრით ქართველებზე. თუმც პირველები სიმდიდრით არ ჩამორჩებიან ქართველებს, და შეიძლება მაღლაც იღებნ იმათზე, კულტურით ბევრათ დაბლა დგანან ქართველებთან შედარებითო. და მერე არ იკითხავთ, რით ხსნის ამას ბ. ვ. წერეთელი: ქართველ თავად-აზნაურობის კულტურული განვითარებით, რაც თავის შერიდ ტრადიციით უნდა აიხსნასო. აი ნამდვილი ახსნა თუ გნებავთ ეს არის! ბევრი რომ არ გვაგრძელოთ აქ სიტყა, შევნიუნავთ, რომ ხსნებული კულტურული განსხვავება თაორებსა და ქართველებ შორის სიმდიდრით კი არ აიხსნება, არამეთ იმ ფორმით ანუ სიტყმით, რომლითაც ეს სიმდიდრე შეძენილია; ესე იგი აქ მნიშვნელობა აქვს წარმოების ფორმას. თაორებში ჯერ წარმოებას კიდევ ნატურალური ფორმა აქვს; ჩვენში კი ეს ხანა თითქმის გავლილია, და განსხვავებაც აქვდან მომდინარეობს. მაგრამ ყოველივე ეს ბ. ვ. წერეთლისათვის სრულიათ გაუგებარია, და ამას არც მის საყურადღებოთ ვამბობთ. ამ საუბრის დასასრულ არ შემიძლია არ აღნიშნო, რომ სწორეთ შესაბრალისია ის მკითხველები, რომლებიც იძულებული არიან ისმინდ ისეთი უწესო და უნაყოფო მსჯელობანი, რომლების ნიმუშიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ.

მ-საუბრე.

## თფილისის საქალაპო არჩევნები.

მოახლოვდა არჩევნების დრო და — საარჩევნო მოძრაობაც გაცხველდა და გაძლიერდა. ყველა ერთა წარმომაღენები მართვენ კრებებს, მსჯელობენ, აღენენ გეგმებს და ეძიებენ საშუალებებს ახალ საბჭოში თავისიანების გასაყვანათ და გავლენის მოსაპოებლათ. სომხების მსხვილი ბურუჟაზია, რომელიც დღეს თვითმართველობაში გაბატონებულია, ცდილობს გავლენის და ძალის შერჩენას, ხოლო ქართველობა — ასეთი ძალა-გავლენის ახლათ მოპოებას. დღეს ქალაქის თეით-მართველობიდან ქართველები თლათ გამოდევნილი არიან, მიუხედავთ იმისა, რომ კანონიერ ცენტრის მქონეთა კვალობაზე მათ იქ რამდენიმე წარმომაღენებული უნდა ყოლოდათ. და, რა თქმა უნდა, მათი სურვილი და მეცანიერობა ამ მოვლენის შესაცვლელათ და საბჭოში საკუთარ წარმომაღენების გასაყვანათ სრულიათ სამართლიანია.

მხოლოთ კითხვა ის არის, როგორ უნდა განხორციელდეს ეს ხამართლიანობა. ქართველებს უნდათ ქალაქში „სოლოლაკელთა“ ბატონობის შესუსტება და შემცირება. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამ მიზნის მისაღწევათ ბრძოლის ეროვნულ ნიადაგზე გადატანა უადგილოა და რომ ეს ყოველი ფუჭი და უნაყოფო იქნება. თუ ვინმე კიდევ მოიპოვება ქართველებში ისეთი, რომელიც ფიქრობს, რომ ჩვენ არა ჩევნებში საერთოთ სომხებს შევებრძოლებით მარტო და დავ-

မარცხებთო, იგი მხოლოთ በციებას ეწევა და በცნების სიტკბოებით იკვებება. აბა ვინ არ იცის, რომ ცენზოან და, მაშასადამე, არჩევნებში ხმის მქონებელ სომეხთა რიცხვი ქართველებისას დიდათ აღმატება. „სოლოლაკელებსაც“ სწორეთ ეს უნდათ, რომ ქართველებმა თავის დროში „სომეხი თუ ქართველი?“ დააწერონ. მაშინ ისინი დატრიალდებიან სომეხ ამომრჩევლებში და თავიანთ თავს სომხის ეროვნების დაცველათ გამოიყანებენ და ამის წყალობით სახელსაც შეიძენ და თვით-მართველობაში ბატონობასაც შეინარჩუნებენ: ქართველები საბჭოს გარეთ დარჩებიან, ხოლო ისინი ძველებურათ შიგ მოექცევიან. ბრძოლის ეროვნულ ნიადაგზე გადატანა სარგებლობას მოუტანს მხოლოთ ქალაქის შსხილ ბურუუზიას, იმ ბურუუზიას, რომელმაც თვისი უნიჭობა და უენერგიობა ქალაქის საქმეების მართვა-გამგეობაში ბრწყინვალეთ დაუმტკიცა სომეხსაც და ქართველებსაც. საზარალო იქნება ასეთი ბრძოლა, როგორც ქართველებისთვის, ისე სომეხთა დიდალ ნაწილისთვისაც.

რაც შეეხბა კერძოთ ქართველებს, მარტო ეროვნობის რეკლამათ გამოფენა საცმარისი არ იქნება თვით ქართველ ამომრჩევლების მოსახლეობათაც. ვთქვათ, ამა თუ იმ ქართველ ამომრჩევლს ეუბნება ქართველების საარჩევნო კომიტეტი: დანიშნულ დღეს უეჭველათ გამოცხადდი, ყუთს არ მოაკლდე, ჩვენ კანდიდატს ხმა მიეციონ. მაგრამ იმას კი ადარ უხსნის, კინ არის ეს კანდიდატი, რა ეღა-ფერისაა, რის მცოდნა; როგორ და რას იმოღვაწებს იგი ახალ საბჭოში, როგორ დაიცავს თავის ამომრჩევლის ინტერესებს, რას გაუკეთებს, რას შექნენ მას მისი მოღვაწეობა გონების ან ქონების მხრით. და რაღა გასაკირია, რომ ამომრჩეველმა ამ შემთხვევაში საქმეს გულგრილათ შეხედოს და კენჭის მისაცემათ სირბილს შინ ჯდომა ან თავის საქმეზე მუშაობა არჩიოს. მერე იციო კი, რა გაპორვებაშია იგი? ის ქუჩა, რომელზედაც მისი სახლია აგებული, გაუნათებელი და მოუფენელია; იქ დგება საშინელი ტლაპო, რომელსაც გდებურები უამივით გაუჩინდა. მის ახლოს არ გადის ქუჩის რკინის გზა. გდებურებს იშვიათათ შოულობს სახლის პატრიო, ბინა ხშირათ ურჩება გაუქირავებელი. ბანკი, საცა სახლი აქვს მას დაგირავებული, ფულსა თხოვს, ან სახლის გაყიდვას უქადის. სახალხო სკოლა მისი სახლიდან სამი ვერსის მანძილზე გამართული. იქ მოსიარულე ბაჟშებისთვის მარტო ფეხსაცმლის ყიდვას ვერ აუდის ოჯახის მამა. წყალი ძვირია და ამღვრეული, ხორცი ძვირი და რაღაც განგებით სულ ძვლით ქცეული... აბა დაუგდეთ ყური, რამდენი რამე შემოგჩივოთ ამ ამომრჩეველმა. თქვენ კი ეუბნებით: „კენჭი, კენჭი, ჩვენი კაცი უნდა გავიყენოთთ.“ მაგრამ მარტო ამით მას ვერ დააინტერესებთ. იგი მოგთხოვთ თვისი რეალურ ინტერესების დაცვას, და მხოლოთ ამ დაცვის შეპრებით და განმარტებით დაძრავთ მას ყუთთან მოსასვლელათ და კენჭის მისაცემათ.

ცხადია, ქართველებისთვის აუცილებელია არა-ქართველ ამომრჩევებთან შეთანხმება და შეერთება, რომ მათ თავიანთი კანდიდატები გაიყვანონ არჩევნებში. როგორ და რა საფუძველზე უნდა მოხდეს ეს შეთანხმება? რა საშუალებით უნდა მოიმხრონ ქართველებმა სხვა ერთა ამომრჩეველები და თვითონაც. მიემხრონ მათ?

ეს შეიძლება მოხდეს მხოლოთ გამორკეულ და განსაზღვრულ პროგრამის საშუალებით. ისეთი პროგრამით, რომელიც განსაზღვრულ ინტერესებს იცავს, ყველა ერთაგან შესაძლებელი იქნება ამომრჩეველების საერთო ინტერესების გარშემო მოგროვება და მომხრობა. რამდენათაც ამ პროგრამაში დაცულ ინტერესების მქონებელი სომხებში მოიძებნებიან, იმდენათვე ხსნებული პროგრამა და მისი მაღიარებელი კანდი-

დატები სომეხ სახლის პატრიონებშიაც პოვებენ თანაგრძნობას და მომხრეობას. ამ გარემოებას ხელს შეუწყობს კრიტიკაცია-ლანდელ ქალაქის „მამათა“ მოლვაწყობისა, რომელიც ისე სა-ოცრათ ბრწყინავს თავისი უნაყოფობით.

ახლანდელმა ქალაქის „გამგეებმა“ კვებნით ყურები გამო-გვიპექს, ჩვენ განათლებული ხალხი ვართ, დიპლომინები და, მაშასადამე, ქალაქის საქმეების მართვა კარგათ ვიცით. თუ რა კარგი მართვა და საქმეების წაყვანა ცოდნით მათ, ეს დღეს საქმაოთ აქვს დანახული ქალაქის მცხოვრება უმრავლესობას. ქალაქ-ს საქმეთა რომელ დარღვესაც კი უნდა გიდავლოს თვალი თავისიც უველავი აურაცხელ ფაქტებს ნახავს, რომელიც ახლანდელ თვით-მართველობის არა-რაობის გამომხარელია. მარტო ქალაქის სანიტარულათ მოუწყობლობა რამდენ ფაქტებს იძლევა საარჩევნო იგიტაციის გასაადვი-ლებლათ. აქ არის ნამდგილი იმპარტიანი გარების გამოარჩიოთ, ისე ერთი იცით, საიდან დაიწყოთ და რომელი გამოარჩიოთ, ისე ერთი მეორეზე უკეთესი და საინტერესოა.

„გარეგან და შინაგან კეთილ-მოწყობილობის მხრით ქა-ლაქი თფილისი ძალიან გლოხა პირობებში იმყოფება, რომლებიც მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის დაუყონებლივ უნდა იქნეს მოსპობილი. როგორც ქალაქის კეთილ მოწყობილობის საქმეში, ისე იმ დაწესებულებათა და შენობათა შენახვის მხრი-თაც, რომლებსაც ქალაქის გამგეობა განაგებს, აღმოჩენილ იქნა მრავალი სხვა-და-სხვა გვარი უწესება: ქალაქის მართველობის აგენტთა დაუდევარი მოქცევა თავიანთ საქმეებში; თვალ-ყურის დაუჭერლობა ქალაქის გმგების მხრით; უანგარიშმ და უნაყოფო ხარჯვა ქალაქის ფულისა; სრული გულგრილობა მცხოვრებთა უუმნიშვნელოების ინტერესებზე ზრუნვაში; დარღვევა ძირითად სანიტარულ წესისა; სრული უზრუნველო-ბა ქალაქის მცხოვრებთა სიცოცხლისა და ჯანმთელობისთვის მავნებელ ან ტისანიტარულ და ანტიკივენურ პირობების მო-სპობისათვის; მოუწყობლობა ქალაქისა, განსაკუთრებით განაპირია აღილებში, და მრავალი სხვა ფაქტი უწესებისა და უგვანობისა.

ყველა ეს წერია მთავრობის ერთ ოფიციალურ ქალა-ლდში. ამ ერთი წლის წინე მთავარმართებელმა დანიშნა კო-მისია ქალაქის დასათვალიერებლით და შესამოწმებლით სანიტარულ მხრით. კომისიაში შეასრულა ბრძნება, დათვალიერი ქალაქი და წარუდგინა მთავარ-მართებელს მოხსენება. და, აი, სწორეთ ამ მოხსენებაში წერია ასეთი ამბები. სწორეთ ეს ოფიციალური მოხსენება ეძახის ქალაქის მდგომარეობას „ბეზობრა-ზიეს“.

ამ მოხსენებაში დაწვრილებით არის ანუსხული ყველა ის უწესება და ანტისანიტარული სისახალე, რომელიც უნახავს კომისიას ქალაქის დათვალიერების დროს. კითხულობა ამ ოფიციალურ ქალალდს და თმა ყალყზე გიდგებათ. ნუ თუ ასე ულვოთო, ასე უწებრალებლით არის გამტებული სასიკვდი-ლოთ ქალაქის ხალხი, ფიქრობთ თქვენ, და ვერ დაგიჯერიათ, რომ ამას ჩადიოდენ სწორეთ ისეთი პირობები, რომლებსაც ექ-მობის დაბლობები მიუღიათ უნივერსიტეტში და აქ ხუთ-ხუთ მანათობით და თუ წობია: ეძლევათ თითო ვიზიტში, მაგრამ შემდეგ აღნიშნულ მოხსენებაში ხვდებით ერთ ადგილს, რომელიც ცოტათ განუგეშებთ. სახელდო იქ ნახავთ, რომ ჩვენი ქალაქის „გამგეებს“ თურმე მარტო ფეხზე მყოფნი, ჯანმრთელი არ გაუშეტებია, არავერც ავა-ვერ ავა-ვერ გამოიტანა. კომისია შესულა საავათმყოფოში და უნახავს, რომ „ავათმყო-თათვის მისაცემი წვენი მხოლოდ მარილიან წყალს წარმოადგენდა, რომელსაც ცოტათ გადაჭრავდა ქანის სიბრუკეებიალე. საცვლების განყოფილებაში საცვლები გლახათ გარეცხილი იყო, ცუდათ გამშრალი, ცუდ სუნიანი, სამრეცხელოში ერთად

რეცხენ ყველა ავათმყოფების სარეცხებს, განცალკევებული ვარცლი გადამდებ სენით ავათმყოფთა საცვლების გასარეცხათ არა აქვთ... სააგათმყოფოს ეზო უწმინდურათ ინახება... ათა-შაგიან ქალთა სააგათმყოფოში ლოგინების თეთრეული ჭუ-ჭყიანია, განსაკუთრებით ბალიშის პირი და საბნები.

საბნებს იშვიათათ რეცხენ; ხშარათ საბანი გადადის გაურეც-ხელათ ერთი ავათმყოფიდან, რომელიც გამოწერა, შეორე ახლათ შესულზე... ამ გზაზ შეიძლება ათაშაგი გადაედეს ავათმყოფებს, რომლებსაც სხვა ვენერიული სენი აქვთ და ამ საავათმყოფოში ღებულობენ მოსარჩენათ”...

ასე უვლიან ავათმყოფებს ჩენი სამკურნალო მეცნიერებით განსწავლულნი. ურთმა ფრანგმა თქვა ერთ ცნობილ ერზე; Grattez-le et le Tartare apparaît-ო (მოფხავნეთ მას და თათარი გამოჩნდებათ). იმას რომ ჩენი ქალაქის „მამები“ ცოდნოდა, ამა ამათზე იტყოდა მოხდენილათ: „მოფხავნეთ მაგათ, მოაცილეთ გარეგნული კულტურის ლაქა და ნახაეთ, თუ რა ნადირი გამოჩნდესო“.

ვიმეორებთ, ოპოზიციამ ფართოთ უნდა ისარგებლოს ახლანდელ თვით-მართველობის მოქმედების კრიტიკით. სავ-სებით უნდა დაანახოს ამომჩევლებს, რომ „სოლილაკე-ლებმა“ ვერ შეძლეს ქალაქის ვერც ჰიგიენურათ მოწყობა, ვერც სწავლა-განათლების შესამჩნევათ წინ წაწევა და ვერც ქალაქის ფინანსების და მოქალაქეთა შეუძლო ნაწილის ეკო-ნომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქართველების საარჩევნო პროგრამა უნდა იქნეს წვრილ შესაკუთრეთა ინტერესების გამომხატველი. იგი შეესაბამება ქართველების ქონებრივ მდგომარეობას და დღევანდელ პი-რობებშიაც მხოლოდ ასეთი პროგრამით შეუძლიათ მათ რამ-დენიმე წარმომადგენლის საბჭოში გაყვანა. წვრილ მესაკუთრე-თა პროგრამა ჩვეულებრივ დემოკრატიული ხასიათისაა და ქართველების პროგრამასაც დღეს სხვა მიმართულება ვერ ექ-ნება. ქალაქის ქუჩების თანაბრათ მოფენა და განათება, მორ-წყვა და დაგვა, ბაღების გაღამაზება, საავათმყოფოების გამ-რავლება და გაუმჯობესება, საქალაქო იფთავების დაარსება; საყასბოს მოწყობა და ქალაქის მიერ ხორცის ვაჭრობის ხელ-ში ალება, ხორაგეულობისათვის საზოგადო ბაზრის დაარსება, იაფ ფასიან აბანოების აგება, სასმელ წყლის გაუმჯობესება და გაიაფება, ხორაგეულობის ვაჭრობაზე კონტროლის გაძლიერება, უსუსურ ბავშთათვის მისაცემ საღ რძის მოსაპოებლათ საქა-ლაქო ფერმის დაარსება; სახალხო სკოლებისა და წიგნთ-საცავა სამკითხველოების გამრავლება, მიგდებულ და ობოლ ბავშვთა მოვლა—პატრონობა; მუშების ჰიგიენურ და ეკონომიურ პი-რობების გაუმჯობესება, დაზღვევა, სააგათმყოფო და საპენ-სიო კასების დაარსება, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულე-ბებში მცირე წლოვან ბავშვთა მუშაობის აკრძალვა ან შეც-ცირება, შრომის ბირჟის დაარსება; ქალაქის ფინანსების გა-უმჯობესება, გადასახადებში მეტ სამართლიანობის პრინციპის შეტანა, დიდ ქონებებზე გადასახადის მომატებაზე შეამდგომ-ლობა, შემოსავალზე პროგრესიულ გადასახადის დაწესება, ანდერმით მიღებულ დიდ ქონებებზე საქალაქო გადასახადის შემოღება, ქალაქის ფულის ხარჯვაში სიტრანსილე და ყაირა-თობა, ქალაქის მიწების არ გაყიდვა და ქალაქის ხელში შე-ნახვა: საქალაქო არჩევნებისა-კის ცენტის შეცირებაზე და საარჩევნო უფლების გაფართოებაზე შუამდგომლობა; ქალაქის მიერ სავაჭრო და სამრეწველო წარმოების დაწყება, ახლან-დელ კონცესიონერთაგან შეტ სარგელობის გამოტანა, კერძო წარმოებელ კაპიტალისტების წინ ქალაქის მცხოვრებთა ინ-ტერესების დაცვა, — აი, ეს და ბევრი სხვა ასეთი საგნები შედ-ლება შეტანილ იქნეს პროგრამაში.

ეს პროგრამა იქნება არა მარტო ქართველების, არამედ ყვე-

ლასი, ვინც მას თანაგრძნობას გამოუცხადებს და მიემხრობა და რომ იგი მრავალ მოშენების მიზანების ამომრჩევლებში, ეს მოსალოდნელია, რაღაც ორ საარჩევნო რაიონში მაინც ამომრჩეველთა უმრავლესობას წერილი და საშუალო ქონების შესაკუთრენი შეადგენენ. მხოლოდ საჭიროა, რომ ერთ გვარ. ინტერესთა მქონე სხვა-და-სხვა ამომრჩევლები ერთმანეთს დაუახლოვდენ, მოელაპარაკონ და საერთო მოქმედების პლანი-სა და კანლიდატთა სიების შესახებ შეთანხმდენ. ეს შეთანხმე-ბა მოხდება სეროთ ინტერესთა და სურვილთა გამომხატველ პროგრამის წყალობით. ვს იქნება შეთანხმება მოფიქრებული, ანგარიშზე აგებული. ამით, შეიძლება, გაწყდეს „სოლოლა-კელთა“ რეინის ჯაჭვი და პლუტოკრატიის ბატონობისაგან განთავისუფლდეს ქალაქი.

ფ. გ.

### სხვა-დასხვა ამბები.

სამშაბათს, 30 აპრილს, სათავად-აზნაურო თეატრში ბ-ნ ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით გამართულ იქნება წარმოდგენის, სასლ-ხო თეატრისა და ძალათ-უბნის წიგნთ-საცავ-სამეკითხველოს სასარგებ-ლოთ. ამ სიმშატიური საქასთვის იმედია ქართველი საზოგადოება არ დაშეურებს თავის წვლილს.

ამ დღებში ქალაქის თავის მთადგილებ თვითისის საგუბერ-ნით სამართველოსაგან მიიღო დამტკიცებული პროცესის საქადაგე-ქონაზე მაშუალების სასენადის უძინების განაწილებისას. პროცესი-დან ჩანს, რომ ქალაქ ტფილისის უძინები მაშუალები, რომელიც უე-წერება სასენადის უძინები გარდასასადი, დარს სულ—68,485,082 მას.; სულ უძინები მაშუალია — 10,359, რომელიც გარდასასადის გაიღ-ებენ მხოლოდ 8762 მაშუალი, დაფას სენადის სულ 67,521,140 მანე-თათ. წმინდა შემთხვევადი ამ მაშუალებიდან ეფუძნ წლილით არის 5,401,692 მას., საშუალო თითო მაშუალები ეფუძნ წლილით მოდის 487 მას.; გარდასასადის კამი უდრის 125,538 მას.; კომისიის მიერ გარდაწევილ მაშუალების დირექტულის მიერგვით გარდასა-სადი იქნება 124,239 მას., საშუალო დირექტულისთვის — 135,042 მას. ადნაშეულ ცაფერების მასებით თვითისის ამ 1902 წლის სასენადის უძინები გარდასასადი შეწევება სულ 122,814 მას., ანუ საშუა-ლოთ თითოეულ მაშუალები 14 მას.

საგუბერნით ადმინისტრაციამ დაამტკიცა სასენადის გარდასა-სადის კანაწილება ქალაქის უძინები მაშუალები. ამ კანაწილებით შექ-დება გარდასასადით: ქალაქ გორის — 1,500 მაშუალი, დირექტული 1,412,175 მას., შემოსავალი 83,930 მას., გარდასასადი — 1,998 მას., თელავს — 2065 მაშუალი, დირექტული 1,827,057 მას., შემო-სავალი 780,760 მას., გარდასასადი — 1,489 მას., სიღნაღეს — 1,940 მაშუალი, დირ. 1,158,240 მას., შემოს. 84,447 მას., გარდასას. — 1910 მას., ლეშეთს — 303 მაშუალი, დირექტული 329,760 მას., შემოს. 20,000 მას., გარდასას. 454 მას., ასალცისებს — 1746 მაშუალი, დირ. 2,343,917 მას., შემოს. 100,243 მას., გარდასას. — 2268 მას., ასალცალაქს — 785 მას. დირ. 989,530 მას. შემოსავალი 98,955 მას., გარდ. — 1,413 მას., კოფირის — 103 მას. დირ. 737,166 მას., შემოს. 55,287 მას., გარდასასადი — 1,462 მას.

**იათემიდას გვერდენ:** ადგილის დღეს აქ ჩვეულებრივ ბურთალია იმართება სოლებე; დიდქალა სალხი — ასურიც და სოფელებიდნ ჩიმ-სულიც — იღებს მონაწილეობას. წელსაც მრავალ შალა მოგრძელდება, მაგრამ ბურთალის თავის არ მოგრძელდება.

ქ. ქუთასეში 25 აპრილს ქუთასის თავად-აზნაურო არ ჩვეუ-ლებრიგმა კრებაშ კენჭის ერთ ერთს მართვა გადაწევია უმაღლეს მთა-რობისთან კანისინ ერთობაში და სამონაციონის ტერიტორიაში. დაისკვი-სკის წინადმდებეგ 5 აპრილს სათავად-აზნაურო სასენადის გადა-დანის ინციდენტის გამოდებაში გადასახადის დაწესება, არამედ უკანასკნელი მონაციონის ტერიტორიაში გადასახადის დაწესება.

၁၇၃၈ ခုနှစ်၊ ဧပြီလ၊ ၁၅

დღევანდლამდე არ რწამდა (ბევრს ხომ არც ახლა  
რწამს), რომ ცხოვრების დერძის მაბრუებელი და მისი სულის  
ჩამდგენდა არ ერთი და ორი რჩეული ნინი ივეკნებ; არ რწამდა  
დათ, რომ არა რჩეულთაც ჯეროვანი ეურადღების მიქცევა უნდოდათ;  
დაას, არ რწამდათ და აშ არ რწმენას ეს არა სასურველი შედეგი  
მოყვა. დღეს აჭარობა სულომინრძა ადამიანს უფრო გავს, აღებ-  
მიცემობის მხრივ, ვინემ (თუმცა დოკოგამოშვებით) სიცოცხლით სა-  
ვსე ბათომს, როგორც ეს ჩვენ გვინასახვს. მისი ქანები, სადაც ბუ-  
ზივით ირკვლება ხალხი, დღეს იხს დაცალიერებული, როგორც ეს  
აშ ათიადე წლის წინათ იუთ ხოლერობის დროს. უკედაგერს მუშა-  
რობის და უსიცოცხლის სუნი უდის აქ. დაას, ასეთია აქაურობის  
დღევანდლელი სამდგრადი სსხე. კიდევ რაძღვნიშე გვირა ასეთი და  
აქაურობის მავის ცემაც განეკურებელათ შესაძლებია შექრდეს.  
რაითვინ? რატომ? ეს ისეთი კითხვაა, რომლის სასეს აქ ადაბი  
არა აქვს. და ცსადა, აშ კითხვის გარეშეც სალაპარაკო ბეჭრი არა  
რჩება-რა.

გაზაფხული აქაური უფრო ჩანამთრებასა გავს, გნეშ სიცო  
ცხლის გამომწვევ გაზაფხულს: სიცოვე, წვიმები, მოდრუბლული  
დღეები და უსიცოცხლობა, აა, წლებასდელი გაზაფხულის თვეები  
აქ, ასე გეგმება ადამიანის უსაშაროლობას ბუნება ტირისა, ძის  
სოციალურ პირობებს ისიც შემოუწერათ...

ପ୍ରତ୍ୟେ

**დაბა-ხონი.** ჭიათურაში მოგაჭრე მისეიღ ივანეს-ძე მებუამარ  
თავისი თანხით დ. ხონში ააგო საზაფხულო თეატრის შენობა,  
ქირათ მაცემს კოველ ამ დაბაზში კამართულ წარბოლებიდან და  
ტოვებულ შემოსახალის ცცი შროცენტი.

სახაფხულო ოქტომბრი, პეტ ბალევ განიცემული, მოქმედებას  
შემდეგ შევდგი:

გამართეს საში წარმოდგენა. პირველაზ ითამაშეს „ირინეს ბე  
დნიერება“ და აკაკის ვოლევილი „ბუტიათხა“ უქნასძნელ თხ  
წარმოდგენაში მთხუავილების იდებდა ქუთაისის დრამატული და  
სის არტისტი ქადაგ ქ-ნი ხინო ჩხეიძე. თავისი მთხდებილი თამა  
შით, ნიჭიერება მსახიობმა ქადაგმა, თეატრში დამწყრე საზოგადოება  
აღტარებაში მთავრდნა. ხინოს თამაში საუცხოვებე საუცხოველ იქ  
სებოდა, რომ მისთვის დანარჩენ მოთამაშეთაც ჯეროვანი დახმარება  
აღმოგებისათ, როგორ დახმარებას უწევდეს მოსახლეობი და ნიჭიერ  
თამაშით მხლოფთ რომ სცენის მოუკარგნა: ბ-ნი შ. მღვაწია  
და პ. მოდებაძე.

\*) სანის საქალებო სახურავლებლის მოწაფეებს სრულიათ არ აინტერესებდათ გაეკით წარმოდგენილი პიესების დედააზრი. ძალია უწესოთ იტერდენ თავს თეატრში, და მაურებელი საზოგადოებას თავის განუწევეტელი ჰასით წარმოდგენის უყრებას უშლიავენ. იძებდა, უმდეგშე ამ მოვლენას დეროვან უკრადლებას მიაქცევენ მათი მასწავლებელი ქალები და ხალხს პიესის მოსმენის არ დაუშლიან.

— ქუთაისის გუბერნიის მედალებულება ამსახურის მართველობაში აგერ მერიებრ დასიშნა წლიური კრება, მარიამ კრება არც ერთხელ არ შედგა; რადგანსც ამსახური უმუტესობა არ გამოცხადდა კრებაზე. კრება გადაიდგა მომავალ ხეთ მასისათვის.

— აღდგომა დღეებამდის მუქს სალხის მაქტედება შეჩერებული  
იყე გვალვის გამო; აწი კი წვიმიანი ამინდები მოვარდ და ესენ  
შეავერხების მათ საჭმეს.

ილია გახტაძე.

საზოგადოთ წასელი შემთხვეობა და ზამთარი ძღვიერ მაზარა-  
ლეპელი იუგის რაჭელებისათვის. მაგალითათ, ს. ნიკოლოზინდაში  
და ოშოდეხისებ მასდობელ სოფელებში შემთხვეობაზედე გაუჩდა ცხენ-  
რებს რადაცა სხეულება და სულ ამჟღვიტა ისინი. დადგა ზამთარი  
და ახდა მსხვილ ფეხ საქონელს სარ-ძრესას გაუჩდა ჯერ მკერნარი  
და იმას შეაწესა, და შერე რადაცა ავათეოფება დაერთა, რო-  
მელმაც ბევრი ამოხოდა. ერთა შეა რიცხვით რომ ვაინგარიშოთ,  
თათო ძრისახლებს თითო სული საქონელი შაინც მოაკლო და აპლებს  
დღემდის ეს ავათეოფება. ცხვრების და მსხვილ ფეხს საქონლის  
ავათეოფება თითოშის ერთნაირი სახის არიან, მაგრამ ამ უკანასკნლის  
აქ „შემდეს“ ემსთან. აი რაშ. მდგრადირების ეს ავათეოფება. ავათ-  
ეოფეი საქონელი ჯერ ხორცის ჩამოურის, შერე ფადარათს შისცემს და  
შემდებ ებები ჩამოუსივდება. თუ შალონში ვერ გაიმეტა და არ დაპ-  
ლა საქონელი, დიდი-დიდი რიც სამი ვერია იცოცხლოს, და მერუ-  
უსათეოთ მოგვდება. ავათეოფეი საქონლის შიგასი გარედან სადი და  
უმაზესო ჩასის, მაგრამ, როცა დვიძლის ჭრის გაცი, შიგნით, რო-  
გორც მასში, ისე ხალვის ძესართავს ძალგებში, მრავლისაგან მრა-  
ვალს შეძლებს შოულობს ის. ეს შეძლები შიგ ხორცშია გამჭდარი  
და ჩაბრკეალებული. თავის არსებობას ისინი მომრაობით და ფთ-  
ქუნით ატეობინებენ გაცს.

ამ ბუნებისაგან მოვლენილ ზარალებს ამ დღეებში კაცის მო-  
გონილი ზარალი და ბაზარისაც ზედ დაქმატა. აა საქმე რაშა.  
მაგრესენებათ, რაჭელა კაცი, რაცა იძერეთადან სახლში მიღის,  
საქრალის მთას წერი უნდა გადაიაროს. ამ მთას წერიდან შირ-  
ველ რაჭას საჭველ ხავთაწმინდას თერთმეტი კერთი იქნება. ეს  
გზა საქრალის წერიდან, თხა კერთის მანძილზე მიღის უდაბურ  
მაღალ ტექში და მერე მისწევს ნიკორწმინდის ჭალის დასავლეთის  
მხრის საპირს, რომელსაც ხარისხვალ ქანას და სადაც ხეთი დუ-  
ქანი დგას. აა, სწორეთ ამ დუქნების და საქრალის წერის შეა-  
შდებარე ადგილი აირჩის ვინები ბოროტმა ბირებმა და უსედებას  
საცარცვალ და გამასაგლეჭათ საცდავ რაჭელ ქაცს, რომელიც  
მთელ ზამთარს მოშორებული იყო თავის ცოლ-შვილს, იქნება როი-  
ოდე განექი ვიშვენთ სადაც და იმათი სხვა-და-სხვა აუცილებელი  
მოგანებას მოგოშორო თავიდანაც. ეს ბოროტება ცარცვა-გლეჭას  
გარდ ხანდისას გაცის ჭვლითაც თავდება ხოლმე. ჯერ ხომ, მარშან  
უავტულმა, საწელი ტარიელ ქუქაძე მოკლეს აქ ავაზაკებმა და  
წართვეს 700-800 მანეთი ფული. ასეა, ამ დღეებში, 10 ას-  
რილს, აქებე დახვდეს აგაზაკები ექვს რაჭელს და თუ რამე ებადათ  
ფული თე სრვა საკედა, სედ წაართვეს. აქ გასახულე, ჩხებია  
და ფეხსაცხლებიც კი წაართვეს საწელებს. ბოროტ მოშემდნი და  
დაგენდის გვერდობათ. სასერკლია, რომ მთავრობა ამ ამბეჭდის სას-  
ტიკ ურადღებას შააქცევდეს და რამე დანებს მოითქმდეს ამ ავაზა-  
კების შრასას შეძლათ. ამ ამბავთა გარდა, რაჭელების სალამარაჭა  
და საინტერესო საქმე კაჯე ის განხვევთ, რომ მთავრობაშ ცნო,  
რომ ახის მომრიგებელი შრასასართლე შარტო ვერ ასდის შეელ რა-  
ჭას და გადაწევია ურარე მომრიგებელი სასახართლის დაარსება  
ჭერი რაჭაში, რადგანაც თხის სასახართლი ზემო რაჭისთვის უნდა  
დარჩეს. დღეს დღეობით ადგილის ამორჩების მესახებ აქვთ დაბარა-  
კი. ზოგს უნდა, რომ ეს სასახართლი ს. ამბორდაურში გაისხას,  
ზოგს ს. ბუგეულში და ზოგს ს. საძძელში. მაგრა უკალუხე უფ-  
რო შოხედებილი ს. ამბორდაური იქნება. ეს მთავრობაშაც გარგათ  
იცის, რადგანაც, დაიდ ხახია, თვითონ მას ამთარჩა ეს ადგილი  
ბისათ სასტოდო სააგათეოფასთვის და შერჩე რაითხოს შოლიცის  
ბოქაუზისათვის, რომელიც დღემდე აქ არაა. ამიტომ სამართლი-  
ახობა შრითხოვს, რომ სრვა ადგილის მომრებებმა კაჯეც რომ შე-  
წიროს რამ ამ საქმეს, მთავრობაშ მაინც არ უნდა შააჭიროს უკალუ-  
დება და სახეში უშეტესობის ინტერესები უნდა იქმნიოს და ს. ამ-  
ორდაურს ეს სასახართლი არ აამორჩა.

ვინე რაჭელი.

**ს. სამხოო (გურა).** დიდი ხანი არ არის რაც სამხოო გა-  
მოიდვის და წინ მსვლელობის გზაზე დაადგა. საში-ოხასი წელი  
უქას სამხოოელ ვერც კი გააგოხებდი, რა იქ გაზეთი და წიგნების  
კითხეა. ესლა მგელა წერა-გათხვის შრალები სამხოოელ უტახება გა-  
ზეთების და წიგნების კითხეა. ხშარათ მეტედებით სამხოოელს,  
რომელსაც სადაჭაო მუშაბდისაგან დაბრუნებისას აუდია გაზეთი ხელ-  
ში და კითხევდობს. რადგან კერძოშოური ხელ-მორელია ხებას არ  
აძლევს სამხოოელს საკუთრათ გამოიწეროს გაზეთები, ამიტომ აქა-  
ურ ჟირხევების საზოგადოებაშ მარკიანა თითოეუროდა გრეში და  
ასე შეგროვებით თასია ადგილობრივი მსხავრებლის სახელშე  
გამოიწერა ქართული უკუნალგაზეთები: „გაბალი“, „ცნობის ფურცე-  
ლი“, „მასხე“, „ივერია“, „მოგზაური“, „ჭეჭილი“ და სრვა...  
ეკონომიკურა საშიათ დაქვეითებული სოფელია. შაშა-შაშური თხით  
და გავ-სახენისით სამხოოელი წაიგხანის ხოლმე მიწის ზედა შირს  
და დათესაჭეს სიმინდს ამ დროს. თუმცა ნიადაგი აქ ნაეთვირთა,  
მაგრამ შიწას სიხშიურე აღრე ეპარგვის. ნადაგის გაგეთება და მო-  
ნიერება აქ არ იციას. სრვა-და-სგვა მოთხოვნილება ცხოვრების  
დასაქმეოდებლით თან და თან მარტობის და ფართვედება; ამი-  
ტომ სამხოოელი მშრომელი საჭხი ადგილა გარდება ჩარჩ-  
ნაცა-მუვლეფავების ხელში. აა ასეთი მევლეფავებისაგან რომ თავი

გადაიწინოს, სამხოოელებმა მიისურვეს დაგარსებინათ შემნახელება-  
მსესხებელი ამსახაგობა და დაისახეს კიდევ. უპე მიიღეს ფინანსთა  
სამინისტროდან დამტკიცება, შეიძინეს საქმის საწარმოებელი წიგნები  
და მოკერიბეს 5—10 მანეთი ბაის ფული (სრული ბაი 25 მანეთია).  
სულ ასაღ ამსახაგობაში ირცხება 44 წერი; წერთა რიცხვი თან  
და თან იზრდება. ამ ქამათ ამსახაგობას აქვს 300 მანეთამდის საღდი  
ფული. კანონიერ საგებელით ფულის გასესხება ამსახაგობაშ უპე  
დაიწეო. ამსახაგობის საქმის მწარმეებლათ არას არჩეულია: გერასი-  
მე საკაიძე, საშეულ წილიძე და გიორგი წუწუნაძე. იმედია ადნიშ-  
